ყირამალა და მისი ვარიაციები

მოსწავლეები კითხულობენ სიტყვების ბარათებზე სხვადასხვა ფორმით დაწერილ სიტყვებს.

მოსმენილის გაგება	ფონოლოგიური უნარები	ანბანის ცოდნა	სიტყვების დეკოდირება და ცნობა	ლექსიკური მარაგი	გაწაფული კითხვა	გაგება-გააზრება	წერა

კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: ჯგუფური, ინდივიდუალური, მთელი კლასი.

რესურსი: სხვადასხვა ფორმით დაწერილი სიტყვების ბარათები (ამოყირავებული/უკუღმა/მხოლოდ თანხმოვნები და სხვ.).

მსვლელობა

- **„ყირამალა“**. მასწავლებელი კედელზე ან დაფაზე სიტყვის ბარათებს თავდაყირა დაამაგრებს. მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ (გაშიფრონ) მოცემული სიტყვები.

- **„არაბული“.** მასწავლებელი ბარათზე ან დაფაზე უკუღმა წერს სიტყვებს (მარჯვნიდან მარცხნივ). მოსწავლეები ცდილობენ ამოიცნონ/გაშიფრონ შემოთავაზებული სიტყვა.

ითრუბ **აჭხაჩ** **ინიყან**

- **„სიტყვები თანხმოვნებით“.** მასწავლებელი ბარათზე ან დაფაზე წერს სიტყვას ხმოვნების გარეშე. ბავშვებმა უნდა დაასახელონ ნაგულისხმევი სიტყვა.

ჭრხლ **ბჰმთ**

- **„არეული ასოები“**. მასწავლებელი დაფაზე ან ბარათზე სიტყვის ასოებს წერს არეულად. ბავშვებმა უნდა გადააწყონ ასოები და სწორად წარმოთქვან/ააწყონ სიტყვა.

ფინაქარ **ლამიმა**

შენიშვნა: პირველ ჯერზე კარგი იქნება საკუთარი სახელების გამოყენება. ბავშვებისა და მასწავლებლების სახელები კარგი საშუალებაა როგორც მთლიანი სიტყვების ამოკითხვის უნარის გამომუშავებისთვის, ასევე ცალკეული ასო-ბგერების სწავლებისთვისაც.